განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილების VII[1] თავის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) დაადგინა „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესი“.

ახალი რადიოსისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვამ, ასევე ეროვნულ დონეზე სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების სპეციფიკურმა მოთხოვნებმა, განაპირობა „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ევროპის კონფერენციის (CEPT) რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების, ასევე ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიორეგლამენტის შესაბამისად, მომზადებული იქნა „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში“ განსახორციელებელი ცვლილების პროექტი.

„სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესში“ განსახორციელებული ცვლილების დოკუმენტი ითვალისწინებს: რადიომოყვარულთა დამწყები და პროფიონალური კვალიფიკაციის მქონე კატეგორიებისთვის ერთიანი უნიკალური სახმობი ნიშნის მინიჭებას, მოქმედი წესის CEPT-ის მოთხოვნებთან ჰარმონიზებას, სამოყვარულო რადიოკავშირისთვის გამოსაყენებელი დიაპაზონების განახლებას და ა.შ.

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე.

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.